



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/47

ქ. თბილისი

26 ოქტომბერი 2021

„პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ ფაკულტეტაშორისი  
აკადემიური დეპარტამენტის შექმნისა და, შესაბამისად,  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის და საინჟინრო ეკონომიკის,  
მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებებში  
ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის  
„გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა  
და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული  
უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“  
ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის №01-05-04/157  
დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-  
02/12 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა  
საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით

აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის №01-05-04/157 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები;

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-16 მუხლის დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ) პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი (ფაკულტეტათაშორისი)“;

3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:


ა) დებულების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „ზ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ზ) პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი (ფაკულტეტათაშორისი)“.

4. დამტკიცდეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტების საშტატო განრიგებში (დანართი) და აისახოს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი



ჯემალ გახოკიძე